# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., ფვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი ... პეტიტით ღირს 15 კ., ... 10 კ. სხვა ადგილებიდან ... ტი ტექსტის ... 30 ... 20 ... ჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 516 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 516



## დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
ერთის თვით 1 50 კაპ., ცალკე ნომერი 7 კ.

თვიური ეხლის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან.
წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 ათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
**დეპეშისათვის:** ქუთაისი „სამშობლო“.

რედაქტორი—ი. თ. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“.


# 1916 წლის
# მეორე სამხედრო
# სესხი

როდესაც მტერი ჯერ კიდევ განდევნილი არ არის ჩვენი მიწა-წყლიდან და ჩვენი ძმები კი ჩვენი გულისათვის მსხვერპლად სწირავენ თავიანთ სიცოცხლეს, დანაშაულობაა, რომ ფუფუნებისათვის გავფლანგოთ ჩვენი დანაზოგი. დაე, ყოველი თავისუფალი მანეთი შეიწიროს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველათ, გმირ დამცველთა დასახმარებლად.

## ხელი მოაწერეთ სამხედრო სესხს.

### სესხის პირობები:

სესხის ობლიგაციები გამოცემულია 50, 100, 500, 5000, 10,000 და 25,000 მანეთიანი და 1916 წლის 1 ოქტომბრიდან მოიგებს $5^1/_2$% წლიურად, რომელიც ორ ვადაზე გადაიხდება—1 აპრილსა და 1 ოქტომბერს.

პროცენტების თანხა სამუდამოდ თავისუფლდება იმ გადასახადებისაგან, რომელიც კაპიტალის შემოსავალზეა დაწესებული.

ყველა ობლიგაცია გამოისყიდება 1926 წლის 1 ოქტომბერს. ამ დრომდე სესხის განაღდებას არ შეუდგებიან.

დროებით კუპონების და გამოსყიდულ ობლიგაციების განაღდება მოჰხდება სახელმწიფო ბანკსა, ხაზინებსა და შემნახველ კასებში.

ობლიგაციები სესხისა მიიღება სახაზინო „პოდრიადების“ და სამუშაოების საწინდრად, აგრეთვე სააქციზო და საბაჟო განაწილებულ გადასახადად იმ ფასად, რომელსაც ფინანს. მინისტრი დააწესებს.

### დრო და ადგილი ხელის მოწერისა.

ხელის მოწერა იწყება 1 ნოემბერს.

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ბანკის კანტორებსა და განყოფილებებში,<br>კერძო საკომერციო ბანკებში,<br>სახინებში (მუდმივში),<br>ქალაქის საზოგადო ბანკებში,<br>საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებში,<br>ქალაქის და იმ საერობო თვითმართველობა-გამგეობაში ან კანტორებში,<br>რომელთა შესახებ ადგილობრივ იქნება გამოცხადებული. | ამა წლის<br>30 დეკემბრამდე. |
| სახელმწიფო შემნახველ კასებში,<br>წვრილი კრედიტის დაწესებულებებში,<br>საველე ხაზინებში. | 1917 წლის<br>31 იანვრამდე. |

### ხელის მოწერის წესი.

ობლიგაციის ფასია 95% ნომინალურ ღირებულებისა, რომელსაც მიმდინარე პროცენტები მიემატება, 1916 წლის 1 ოქტომბრიდან დაწყებული.

ვინც ჰსურს გადაიხადოს ფასი მთელი იმ ობლიგაციებისა, რომელზედაც ხელი მოაწერა, ფულს გადაიხდის ხელის მოწერის დღესვე.

იმ პირებს, რომელნიც სესხზე ხელს მოაწერენ სახელმწიფო ბანკში, კერძო საკომერციო და ქალაქის საზოგადო ბანკებში 500 მანეთზე მეტს, ხოლო ხაზინებში, შემნახველ კასებში, საურთიერთო კრედიტის საზოგადოებასა და წვრილ საკრედიტო საზოგადოებაში 200 მანეთზე მეტს—ამ პირებს შეუძლიათ ფული ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ: ნახევარი ხელის მოწერის დღესა და ნახევარიც არა უგვიანეს 1917 წლის 31 იანვრისა.

### შეღავათები ხელის მომწერლებისთვის და სესხის გაცემა.

სახელმწიფო ბანკის კანტორებსა და განყოფილებებში, აგრეთვე ხაზინებში, სადაც სწარმოებს სესხის დაგირავება, შეიძლება გაეხსნათ შეღავათიანი კრედიტი 1918 წლის 1 იანვრამდე იმ სახელმწიფო სესხის ობლიგაციების დასაგირავებლად, რომელნიც გამოცემულია ომის დასაწყისიდან აქამდე. ოღონდ ეს კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს ხელის მოწერის ჯამს.

ობლიგაციების დაგირავება შეიძლება როგორც ხელის მოწერის დღეს, ისე შემდეგაც სახელმწიფო ბანკებსა და ხაზინებში, სადაც სესხის ოპერაცია სწარმოებს $5^1/_2$% წლიურად 1918 წლის 1 იანვრამდე. სესხის რაოდენობა ხელის მოწერის დროს დაწესებულია 88% ნომინალურ ფასისა.

### შეღავათები ობლიგაციების შენახვისათვის.

ობლიგაციების პატრონებს შეუძლიანთ გადასცენ ის უფასოდ შესანახად სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს, ხაზინებს და შემნახველ კასებს, ოღონდ დაწესებული საგერბო გადასახადი უნდა გადაიხადონ. ის პირები, რომელთაც შემნახველ კასებში ფული აქვთ, ამ კასებში ობლიგაციების შეძენის დროს არ იხდიან საგერბო გადასახადს, თუ მათ ფასს შესანახ წიგნაკში გადიწერენ.

გულმოკლულნი მშობლები: თავადი ვარადებული გიორგის ძე, კნეინა ივლიტე კონსტანტინეს ასული აფაქიძენი ოჯახობით ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უსაყვარლესი შვილის ექიმის

## თავადის მიხეილ (იგივე მიშა) ვარადებულის მის აფაქიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რაიცა მოხდა 21 დეკემბერს ღამის 12 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. დაიკრძალება **სოფელ ზანაში** (ზუგდიდის მაზრა) საგვარეულო სასაფლაოზე.

1—1

---

გულმოკლული ძმა თავადი იასონ ვარადებულის ძე აფაქიძე ოჯახობით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, შვილივით აღზრდილ ძვირფასი ძმის ექიმის

## თავადის მიხეილ (იგივე მიშა) ვარდებულის მის აფაქიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფელ **ზანაში** (ზუგდიდის მაზრა), საგვარეულო სასაფლაოზე

1—1

---

სამშაბათს, 27 დეკემბერს, დილის 12 საათზე, **სოფელ კულაშში** ჯვარცმის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

## თავადის ალექსანდრე ტარიელის მის მიქელაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი კნეინა თებრონე კონსტანტინეს ასული შვილებით.

1—1

---

# სახალხო წარმოდგენები.

## ქალაქის თეატრი. წარმ. № 31—32

ორშაბათი, 26 დეკემბერი, 1916 წ.

## არსენა

3 მოქ. ალ. ყაზბეგისა.

სამშაბათი, 27 დეკემბერი

## სამშობლო

ისტ. დრ. 6 მ. ერისთავისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., ლოლუა ა., მდივანი მ. ჩხეიძე ან., ბ-ნი ბეგლარიძე ბ., გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი. ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა. ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**წარმოდგენის დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

---

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 22 დეკემბრიდან

## გერმანელების ლაზღანდარობა პოჩაევის ლავრაში

მე-4 სერია.

## ღამურა სიკვდილის ძაფებისა

ფეიდისა და მერსის რომანიდან სამ ნაწილად, საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**ოცნებავ, ოცნებავ სად არის შენი სიტკბო?!**

ვოდევილი 2 ნაწილად პრენსის მონაწილეობით ორ როლში, ქმრისა და დის.

ა ნ ო ნ ს ი: ორშაბათიდან, 26 დეკემბრიდან ახალი პროგრამა.

## დაგვიანებული შემოდგომის მჭკნარი ყვავილები

მხატვრული დრამა 5 ნაწილად გამოჩენილ მსახიობ ქალების მონაწილეობით.

---

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 22 დეკემბრიდან.

## გერმანელების ლაზღანდარობა პოჩაევის ლავრაში

მე-4 სერია.

## ღამურა სიკვდილის ძაფებისა

ფეიდისა და მერსის რომანიდან სამ ნაწილად, საუკეთესო მსახიობების მონაწილეობით.

**ოცნებავ, ოცნებავ სად არის შენი სტკბო?!**

ვოდევილი 2 ნაწილად პრენსის მონაწილეობით ორ როლში ქმრისა და დის.

ა ნ ო ნ ს ი: ორშაბათიდან, 26 დეკემბრიდან ახალი პროგრამა.

## ცხოვრების ჭადრაკი

განსაკუთრებული საყურადღებო სიუჟეტის დრამა 4 ნაწილად, ხოლოდნაიასი, წერეთლისა [illegible]

---

შაბათს, 24 დეკემბერს, დილას 10 საათზე საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

## ნინა ალექსანდრეს ასულის ბარნაბ კვიმსამის მეუღლის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, განსვენებულის ჰირისუფლები.

---

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** ჰაერში ბრძოლა განახლდა პოლესიეში და გალიციაში რამდენიმე ალაგას გერმანელებს იერიშები მოჰქონდათ.

**კავკასიის ასპარეზი.** რუსის მზვერავები მარჯვედ მოქმედებდნენ.

**რუმინიის ასპარეზი.** მოლდავიაში გერმანელ ავსტრიელების იერიშები რუმინელების იერიშებით იცვლებოდა. დობრუჯაში გერმანელებს გამუდმებით მოჰქონდათ იერიშები.

---

# მსოფლიო ომი.

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.)

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბიხა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მოპირდაპირეთა საფრენებმა ძალიან გააძლიერეს მოქმედება და სხვადასხვა ადგილას ყუმბარების დაშენა ერთი მათგანი სოფ. იესთან ჩამოვაგდეთ კიშნევსკის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მფრინავი, აფიცერი და ჯარის კაცი დავატყვევეთ პორსკვულკას მიდამოებში, კოველის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩვენმა მფრინავებმა მტრის 2 საფრენი ჩამოაგდეს, საფრენები და ზედ მყოფი 4 კაცი დაიმსხვრა. ზოლოჩევის მიმართულებით სოფ. ვატკუვ-მანაუკის და გარბუზოვის მიდამოებს მოპირდაპირემ მედგრად დაუშინა ზარბაზნები, რის შემდეგაც მთელ ამ ბრძოლის ხაზზე იერიშით წამოვიდა. თუმცა ჩვენც მედგრად ვუშენდით ზარბაზნებს, მტერი მაინც შემოიჭრა ერთ-ერთი როტის თხრილებში, მაგრამ სამაგიეროდ იერიშით მყის გავდევნეთ ამავე დროს სოფ. მანილოვკის მიდამოებში მტერი მოშხამულ გაზით გატენილ ყუმბარებს გვიშენდა, ყუმბარები, გასკდომის მერე, სქელ ყვითელ ბოლს აყენებდა და დიდხანს არ იფანტებოდა. დნესტრზე, იეზუპოლის მიდამოებში ზარბაზნების სროლით მტრის სანგრების მთხრელი მუშები გავფანტეთ.

მოლდავიის მიჯნებთან სოფ. კოტუმბოდან მდ. სულჩამდე და მის სამხრეთით მოპირდაპირე ორჯელ წამოვიდა იერიშით, მაგრამ ყველგან მოვიგერიეთ. აქ ერთს მაღლობზე გუშინ დაკარგული თხრილები დავიბრუნეთ.

**რუმინეთის ასპარეზი.**

მდ. კასინის ჩრდილოეთით, უნგრეთის მიჯნის აღმოსავლეთით 8 ვერსზე რუმინელებმა შეტევა იწყეს. სოვაჯის აღმოსავლეთით მდ. სუშიცას სათავის მხარეს მოპირდაპირემ დილით იერიში მიიტანა რუმინელებზე, მაგრამ უკუაგდეს, მან დასავლეთისაკენ დაიწიეს. რუმინელთა ცხენოსანი ჯარი დაედევნა. დღისით მოპირდაპირემ გაძლიერებულის ძალით განაახლა იერიშები და რუმინელებს ძველს პოზიციებზე დაახევინა. ზარბაზნების მედგარი სროლისა და მოშხამულ გაზით გატენილ ყუმბარების სროლის დროს მოპირდაპირემ შეკუფუებულის რაზმებით იერიშით წამოვიდა ფოქშანის სამხრეთ-დასავლეთით მობანაკე ერთ-ერთ ჩვენს პოლკზე რკინის გზის გასწვრივ. მედგარი სროლით დავხვდით და მტერი თავის სანგრებშივე მივაბრუნეთ, მას მერე მოპირდაპირეს იერიშები აღარ განუახლებია. მდ. რიმნიკის შესართავის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ერთი მსროლელთა პოლკი უეცრად დაეცა ს. გულიანკას, დაიპყრო იგი და ხელთ იგდო: 6 აფიცერი, 2 ექიმი, 205 ჯარისკაცი, 5 ზარბაზანი და 8 ტყვიისმფრქვეველი. დავიპყარით აგრეთვე ს. კიჟვენუ, და ს. მაქსიმენი, ს. გულიანკის სამხრეთ-აღმოსავლეთით და მტერი სამხრეთისაკენ დავწიეთ.

დობრუჯში მთელი დღის განმავლობაში მოპირდაპირეს იერიში იერიშზე მოჰქონდა მაჩიმის მიდამოებში იერიშები მოვიგერით, მოპირდაპირე უკანვე გაბრუნდა.

**კავკასიის ასპარეზი.**

კალკიტას დასავლეთით ჩვენმა მზვერავებმა ოსმალების სიდარაჯოები გაარღვიეს და ხელჩართულ ბრძოლის დროს ხელთ იგდეს ტყვეები და იარაღი.

**საბერძნეთში**

(პ. დ. ს.)

ახლა თვალსაჩინო გახდა, რომ საბერძნეთი არას გზით არ მოურიგდება მოკავშირეებს: თუ ამ დღებში საბერძნეთის გარემოცვა არ მოიხსნა, მობილიზაცია აუცილებელიაო. ბრძანება გასცეს, სათადარიგონი პირველ ძახილზე გამცხადდენ. ბერძნები სხვა და სხვა ხერხით ცდილობენ ბულგარელების ჯართან შეერთებას.

ადგილობრივი გაზეთების სიტყვით, საბერძნეთის ალორძინებისათვის, საჭიროა მისი ბედ-იღბალი მოკავშირეებმა გადასწყვიტონ. ლიბერალთა დაპატიმრება გრძელდება.

ტერორი მძვინვარებს... საიმპერატორო მისიის ორთქლ მავალი, რომელზედაც რუსთა ქვეშევრდომნი იმყოფებიან, საფრანგეთის ვიცე-ადმირალის ხელში გადადის და დღეს იტალიის ერთ ერთ ნავთ-სადგურში გავა. რუსებს ათინიდან გასვლის წინადადება მისცეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**სხვა და სხვა ამბები.** ბულგარეთის ჯარის მთავარსარდალ გენ. ჟეკოვს შემდეგი სიტყვებით მიუმართავს თავის ჯარისათვის:

— „ჩვენი მოსისხლე მტრების მხარეზე როგორც სალონიკის ისე რუმინიის ასპარეზზე რუსები.—ჩვენ განმათავისუფლებლად წოდებულნი, ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან. ამაზე მეტი: ჩვენ გვაქვს იმის საბუთები, რომ ისინი ვალახებს ეცილებიან სამარცხვინო ბოროტმოქმედებაში ჩვენი ჯარის წინააღმდეგ. დეე, ამ ბოროტმოქმედებამ თვალები აუხილოს მათ, ვინც თავის სიბეცის გამო ვერ დარწმუნებულა კიდევ იმაში, რომ რუსები ჩვენი ისეთივე მოსისხლე მტრები არიან, როგორც სხვები და, რომ რუსების ნამდვილი მიზანი ჩვენი დამონავებაა.

— **საბერძნეთი** მდგომარეობა საბერძნეთში წინანდებურად გამწვავებულია. რადგანაც საშიში გახდა მოკავშირეთა ელჩების ათინაში. დაბრუნება, ამიტომ მათ გადაუწყვეტიათ, სრულიად დასტოვონ საბერძნეთი და წამოვიდნენ.

— საბერძნეთის სანაპიროების გარემოცვის გამო მეფე კონსტანტინეს უკმაყოფილების ნოტა გაუგზავნია მოკავშირეთათვის.

— პარიზიდან იტყობინებიან, რომ საგარეო საქმეთა პალატას განუხილავს საბერძნეთისა და მოკავშირეთა შორის დამყარებულ ურთიერთობა და დაუდგენია, რომ აუცილებლად საჭიროა, ეხლავ ენერგიული ზომები იხმარონ და საბერძნეთზე ზეგავლენა მოახდინონ.

— მაკედონიაში, ოხრიდის ტბის ახლოს მოკავშირეებმა დაიპყრეს უმავთულო ტელეგრაფის ერთი სადგური რომლის საშუალებითაც ბერლინსა და ათინას შორის მოლაპარაკება სწარმოებდა და გენ. სარაილის ჯარის მოძრაობისა და მდგომარეობის შესახებ ცნობებს აწვდიდნენ გერმანელებს.

# ახალი ამბავი.

22 დეკემბერს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს შეერთებულ სხდომაზე გაარჩიეს იმ ვექილთა საქმე, რომლებიც დამცველათ გამოვიდნენ აჭარელთა უკანასკნელ პროცეში. პასუხის გებაში იყო მიცემული 11 კაცი. სასამართლოს მათ მიერ აჭარელთა პროცესში გამოსვლა დანაშაულობათ უცვნია და გაფრთხილება მიუცია მათთვის, რომ ამიერიდან არ გამოვიდნენ ასეთ საქმეების დამცველად.

✦ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ მანდიკორის, გურნის და საწირის საზოგადოებებში [illegible] ღარიბ მცხოვრებთათვის შემწეობის დასარიგებლად ბ. სამსონ ყიფიანი გაგზავნა, რომელმაც 21 დეკემბერს მანდიკორისა და გურნის საზოგადოებებს [illegible] მანეთი დაურიგა, 22-ს კი საწირის საზოგადოებისას.

✦ ქალაქის თვითმართველობამ გუშინ გადასცა რამოდენიმე ვაგონი შაქარი, ადგ. მომხ. საზოგად. „კოოპერაციას“ და „მომავალს“, რომლებიც დღეიდან შეუდგებიან გაყიდვას. გირვანქა შაქარი უნდა გაიყიდოს 28 კაპ. თითო პირს მიეცემა არა უმეტეს სამი გირვანქისა.

✦ შაქრის მისაღები ბარათების დარიგება ქალაქის თვითმართველობამ უკვე დაამთავრა.

✦ ქალაქის თვითმართველობამ, სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახებისათვის დახმარების დარიგება გუშინ დაამთავრა.

✦ გუშინ დიდ-ძალი სურსათ-სანოვაგე შემოიტანეს სოფლებიდან-ბაზარზე. მიუხედავათ სიმრავლისა ყველაფერი ძვირად იყიდებოდა.

✦ ქუთ. ქართული დრ. საზოგადოების კრებაზე, გამოითქვა აზრი, რომ იზრუნოს საზოგადოების გამგეობამ პიესების გამოცემის საქმის მოსაგვარებლად. ამ საქმისათვის ხარჯთ აღრიცხვა და სხვა მოხსენებები წარედგინება მორიგ სხდომას.

✦ იმერეთის სამღვდელოების სხდომები 22 დეკემბერს დასრულდა.

✦ სიმამაცისათვის დააჯილდოეს შემდეგი ქართველი ოფიცრები: წმ. ანნას მეორე ხარისხის ჯვრით პრაპ. ნიკოლოზ თარხნიშვილი. წმ ანნას მესამე ხარისხის ჯვრით, გიორგი კობიაშვილი და სოლომონ ქუთელია. ჯარის-კაცები: წმ. გიორგის მესამე ხარისხის მედლით პ. შიორიძე და შ. აბრამაშვილი. მეოთხე ხარ. წმ. გიორგის მედლით: პ. ფარცვანია. კ მელაძე, ზ. ნადირაშვილი, ხ. გაბილაია, ი ბაკურაძე, დ ბოკუჩავა, ტ. ბასაძე, დ. კაკაურიძე და ზ. რუსიაშვილი.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მორიგი ნომერი ჟურნალი. ჩვეულებრივ შინაარსიანათ და ლამაზათ არის გამოცემული.

✦ ქ ოზურგეთიდან გვატყობინებენ რომ ამ უკანასკნელ ხანებში იქ მეტად გავრცელებულა შინაურ ფრინველთა ჭირი.

✦ უვარგისი თაფლი. ქიმიური ლაბორატორიის გამგის გადმოცემით ადგ. ღუქნებს რუსეთიდან ჩამოუტანიათ უვარგისი თაფლი, რაიც შეზავებული ყოფილა სხვადასხვა ნივთიერებისაგან.

✦ ქუთაისის ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობა 26 და 27 იანვარს ქალაქის თეატრში გამართავს ფრიად შინაარსიან, ეროვნულ საღამოს.

✦ ომში დაჭრილ დაავადმყოფებული ოფიცრები. ამ უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს დაჭრილი ქართველი ოფიცრები: პორ. ვას. ალ. იმერლიშვილი და ილია ანტონის ძე ქუთელი.

✦ როგორც გადმოგვცეს ვიღაც არასაიმედო პიროვნება თურმე ვაჟა-ფშაველას ფონდის სასარგებლოდ ფულებს აგროვებს. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, რომ ბოროტ-მოქმედებას არავინ ჩადიოდეს.

✦ 22 დეკემბერს ლიტერატორთა კრება საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა, კრება გადაიდო შემდეგისათვის.

✦ ქართ. შორ. წერა კითხვის გამ. საზ. ქუთაისის განყოფილებას აწ განსვენებულ სოფიო ქრისტეფორეს ასულის პავლოვის შვილებმა, რძალმა და შვილის-შვილებმა გვირგვინის ნაცვლად, 25 მანეთი შეწირეს.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ ნომრის წერილში გრ. რასპუტინის შესახებ, ოცდა მესამე სტრიქონში ქვევიდან აწყობილია „რასპუტინი **დაუპატიმ ებიათ** იუსუპოვის სასახლეში“ **უნდა იყოს:** „დაუპატიჟებიათ.“ ამავე წერილში ცოტა ქვემოდ აწყობილია: „როცა **სტუდენტები** გასულან ბანქოს სათამაშოთ ოთახში“, **უნდა იყოს:** როცა გასულან **სტუმრები** ბანქოს სათამაშო ოთახში“.

ამავე გაზეთის მეთაურის ერთ-ერთ წინადადებაში გამოტოვებულია შესმენილი და მით მთელი აზრი დაკარგულა.

# ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**თფილისი.** ქალაქის თვითმართველობის სასკოლო კომისიამ გადაწყვიტა, რომ ერთ-ერთ საქალაქო სკოლას, რომელიც მომავალ წელს გაიხსნება, ჰენრიკ სენკევიჩის სახელი დაერქვას. კომისიამ განიხილა მე-5 სავაჟო გიმნაზიის შუამდგომლობა და დაადგინა სიხოვოს საბჭოს, რომ მხოლოდ [illegible]

1917 წელს მისცეს ამ გიმნაზიას დამატებით 7,200 მანეთი. შუამდგომლობა იმავე გიმნაზიისა, რომ ხარჯების დასაფარავად, სწავლის ფული გადიდდეს 40 დან 60 მანეთამდეო, კომისიამ არ შეწყნარა

— ქალაქთა კავშირის თბილისის კომიტეტში აუარებელი მოციქულები მიდიან და კომიტეტის დაწესებულებათა მოსამსახურეთა პირით ჯამაგირს თხოულობენ. კომიტეტს აგრეთვე მოვალეებიც არ ასვენებენ, და ნისიების განაღდებას სთხოვენ, მოსამსახურეებს უკანასკნელ 2 თვის ჯამაგირი არ მიუღიათ. მოწყალების დანი ემუდარებიან კომიტეტს, ჯამაგირის ნაწილი მაინც მოგვეცით, რომ საცვლები და ტანისამოსი ვიყიდოთო.

— საშუალო სატეხნიკო სასწავლებლები. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გადაწყვეტილი აქვს 1918 წლის მკათათვის 1 ლიდან დაარსოს საშუალო სატეხნიკო-სამექანიკო ოთხკლასიანი სასწავლებელი, სხვათა შორის, თბილისში. ერთი ასეთი სასწავლებელი ქუთაისშიაც გაიხსნება. ქუთაისის სასწავლებელი იქნება სამეურნეო-სატეხნიკო, სამთამადნო განყოფილებითა.

— სამხედრო შეღავათი ჟურნალისტებს. სამხედრო შეღავათის მიმცემმა კომიტეტმა დაადგინა: შეღავათი მიეცემა მხოლოდ იმ ჟურნალისტებს, ვინც გაწვეულია არა უგვიანეს 1899 წლისა, ესეც იმ შემთხვევაში, თუ გაზეთის ტირაჟი აღწევს 15 ათასს საუნივერსიტეტო ქალაქებში და არა ნაკლებ 10 ათასისა სხვა ქალაქებში. პირველ კატეგორიის გაზეთებში შეღავათი მიეცემა ორ ჟურნალისტს, მეორესაში— ერთს.

— გორი. ხცისის საზოგადოებში თავი უჩენიათ ცრუ მქადაგებლებს; დადიან თურმე სოფლებში, უყრიან ხალხს თავს ეკლესიებზედ და ქადაგებენ ათასგვარ სიცრუეებს. სხვათა შორის თურმე ქადაგებენ: „მუშაობა სრულებით არ არის საჭირო, ხალხმა მარტო ღმერთი ილოცეთ და რაც საჭირო იქნება, თავისთავად მოგივათო“. ერთს დღეს ადგილობრივი მამასახლისი შეხვედრია ხალხის ბრბოს, მეტი ნაწილი ქალები ყოფილან, წინ მათ მიუძღოდათ ორი მქადაგებელი, ხელში სანთლები სჭერიათ. მამასახლისს მქადაგებელნი დაუჭერია, ერთი მათგანი აღმოჩენილა ხანში შესული დედაკაცი, ომში გაწვეული ჰყოლია შვილები, ხოლო მეორეს—ახალგაზდა ვაჟი—ომში გასაწვევი. როგორც ეტყობა, პირველი შვილების ჯავრს დაუცია ქადაგად, ხოლო მეორე თავის-თავის ჯავრს.—ამბობენ, ამ საზოგადოებაში კიდევ სხვებიც არიან ქადაგები, მაგრამ ისინი ჯერ სოფლებში არ დადიან, თავიანთ ბინებზედ იბარებენ ხალხს ქადაგების მოსასმენათო.

— ოზურგეთი. ქალაქის მოურავმა თ-დ დ. ერისთავმა, ხმოსანთა დადგენილების თანახმათ, შუამდგომლობა აღძრა ქ. ოზურგეთში სრული საქალაქო თვითმართველობა იქნეს შემოღებული.

— ბათუმში ეს სამი დღეა გადაუღებლივ წვიმს და აცივდა.

— საბაჟოზე ყოველ დღე იყიდება აუარებელი ფორთოხალი. ფასი ხარისხის მიხედვით 100 ც.—5—12 მანეთამდე. საჭიროა ტფილისის კოოპერატივებმა („მეურნე-ადორძინება“) იყიდონ ამ თავითვე უქმეებისათვის.

— ამ ბოლო დროს ქალაქის თავის კრინიცკის პეტროგრადს წასვლის გამო გამგეობის წევრთა შორის შუღლი გამწვავდა, რაიც ქალაქის საქმეებს ჰრევს.

— ჩოხატაური. შაბათს, 10 დეკემბერს, სოფ. ბჟოლიეთში (ერკვეთის საზოგადოება) უცნობებმა მოჰკლეს ადგილობრივი ხანში შესული მცხოვრები ბიქტორ კვანჭატირაძე მკვლელს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს. მიზეზი მკვლელობისა გამოურკვეველია.

— კვირას, 11 დეკემბერს, ფარცხმის სასოფლო სამართველოში დანიშნული იყო ოცისთავების კრება. მათ უნდა აერჩიათ მამასახლისი, მისი თანაშემწე და მოსამართლეები. ყრილობას დაესწრნენ: მომრიგებელი შუამავალი ბ. ე. ნაკაშიძე და ადგილობრივი ბოქაული ბ. ა. ჩიკვაიძე მამასახლისად არჩეულ იქმნა გრიგოლ ცინცაძე, მის თანაშემწედ ლადიკო სიხარულიძე, ხოლო მოსამართლეებად აირჩიეს შემდეგი პირნი: მაქსიმე ცინცაძე, გიორგი ძნელაძე და სოლომონ მდივანი.

## რასპუტინის მკვლელობა.

პეტროგრადში უკვე მიუღიათ ზომები რომ ქალაქიდან განდევნონ ყველა ვინც რასპუტინის განკარგულებაში იმყოფებოდა. თავდაპირველად დაუტუსაღებიათ რასპუტინის მდივანი, რომელიც უკანონო საქმეებს აკეთებდა.

— შეთქმულება რასპუტინის წინააღმდეგ ერთი კვირის წინად შეუკრავთ.

— რასპუტინის მდივანი ქალი ულინა ნიკიტიშნა მკვლელობამდე რამდენიმე დღის წინათ გაპარულა სადღაც; ეხლა დაბრუნებულა და არ ამხელს იმას, თუ სად ან რისთვის წავიდა აქნობამდე.

— მიუხედავად რასპუტინის მათაყვანებელთა თხოვნისა, რასპუტინის ლეშს აჰხადეს და გაშინჯეს. მას ორი ჭრილობა აღმოაჩნდა: ერთი—კეფაში მხოლოდ მეორე—მარჯვენა ფერდში. მიცვალებულის სურათი გადაუღიათ და სოფ. პოკროვსკოეში გაუგზავნიათ.

— რასპუტინის მკვლელობის გამოძიება ფორმალურად მოხდება. რადგანაც შეუძლებელია ზოგიერთ პირთ ჩვენება ჩამოერთვას, საქმეს ფორმალურ გამოძიების შემდეგ მოსპობენ.

მოკავშირე სახელმწიფოთა წარმადგენლებს თავთავიანთ მთავრობებისთვის შიფრიანი დეპეშები გაუგზავნიათ რასპუტინის მკვლელობის გამო.

— მოსკოვიდან მოსული ცნობები უარჰყოფენ ხმებს რასპუტინის მკვლელობაში პურიშკევიჩის მონაწილეობის შესახებ.

— შეთქმულთაგან არავინ დაუტუსაღებიათ. რასპუტინის ქაღალდები საგანგებო კომისიისათვის გადაუციათ.

— ამ ალაგას, სადაც რასპუტინის გვამი იპოვეს, ყოველ დღე მიდიან ქალები მაღალწრეებიდან, იღებენ წყალს და სახლში მიაქვთ, როგორც აიაზმა.

— რასპუტინს მისი მათაყვანებელნი მისი სიკვდილის შემდეგაც სცემენ თაყვანს მის სურათს ავრცელებენ და ხელიდან ხელში გადადის

— როდესაც რასპუტინის გვამი ავტომობილში ჩაუდვიათ, პოლიციელი მიახლოვებია მკვლელებს, რომლებსაც მისთვის განუცხადებიათ: „ჩვენ ეხლა მოვკალით ძაღლიო“ და ამ სიტყვებით პიროვნების ბარათი გადაუციათ.

## ცვლილებანი სამინისტროში.

(დეპ. პეტ. სააგ.)

**პეტროგრადი.** უმაღლესის ბრძანებით სახელმწიფო საბჭოს წევრი, ტაინი სოვეტნიკი მაკაროვი, თანახმად მისი თხოვნისა იუსტიციის მინისტრობისაგან გაანთავისუფლეს. იგი დარჩება სახ. საბჭოს წევრად და სენატორად.

სენატორი, სასახლის ეგერმეისტერი, ტაინი სოვეტნიკი დობროვოლსკი იუსტიციის სამინისტროს გამგედ დაინიშნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგე დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი პროტოპოპოვი უმაღლესად დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად.

## ქართველ კათოლიკეთა შესახებ.

გაბო ივანეს ძე გოკიელოვის შრომის გამო.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართველ ცნობილს მკურნალ-მოღვაწეს, გაბო ივანეს ძე გოკიელს, განუძრახავს რუსულს ენაზედ დასწეროს: წერილები ქართველ კათოლიკეთა შესახებ. იგი ამისთვის აგროვებს სხვადასხვა ისტორიულ მასალებს, ამით სურს პატივცემულ მოღვაწეს, რომ ისტორიული საფუძველი დაედოს იმ გარემოებას, რომ საქართველოში ნამდვილ ქართველ გვარის კათოლიკენი არსებობენ, რომელნიც ჟამთა ვითარების წყალობით XVII საუკ. ბოლოდამ, სომეხ კათოლიკეთა ტიბიკონზედ იქნენ დაკავშირებულნი, რაისა გამო იგინი დღეს წოდებულნი არიან სომეხ-კათოლიკეთ.

მთავრობაც ასე სცნობს მათ და უწოდებს სომეხ-კათოლიკებს, ამიტომ ვალათ ვსთვლით ჩვენს წინაშე, რომ პატივცემულის მკვლევარის საგულისხმიეროთ და ისტორიული გამოკვლევის საფუძვლად მოვიყვანოთ ზოგი რამ ისტორიული ცნობები, რაც ბევრს რამ ქართველთ კათოლიკეთა ცხოვრების ცნობებს ნათელჰყოფს და ეს გარემოება არც პატივცემულის მკვლევარისათვის იქნება უმნიშვნელო. სასურველია, რომ ეს გამოკვლევა, რუსულს ენაზედ, იქნეს რაც შეიძლება სრული და საფუძვლიანი, რაი ძალითაც იქნება თვით მთავრობის წინაშეც გაირკვეს ნათლათ ამ ერის არსებობის და გვაროვნების და სარწმუნოების პირობები.

ბევრის ლაპარაკის, წერის და ქადაგების შემდეგ, თითქოს ცნობილი იქმნა ის ისტორიული ჭეშმარიტება, რომ საქართველოში ქართველთ შორის სცხოვრებენ ისეთნიც, რომელნიც გვაროვნებით ქართველნი არიან, ხოლო სარწმუნოებით სომეხ კათოლიკენი. ეს გარემოება ცნობილ იქმნა, როგორც მთელს საქართველოს ერში, ისევე რუსის მთავრობის წინაშე და თვით სომეხ-კათოლიკელნიც გამოტყდენ ამ გარემოების ცოდნაში, რომ დიახ, საქართველოში, სომეხ-კათოლიკეთა შორის არიან მრავლათ ისენიც, რომელნიც გვაროვნობით ქართველნი არიან და ამიტომ ესენი უნდა იწოდებოდენ ქართველ კათოლიკეთ და არა სომხათ.

ეს ისტორიული ჭეშმარიტება თვით ქართველ-კათოლიკების ისე მიერ იქმნა წინ წაწეული, რომ ქართველ-კათოლიკებთა შორის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრის სოფლებს, თვით ქართველ-კათოლიკეთ ელერებმაც დაიწყეს ლაპარაკი მასზე, რომ ჩვენ ქართველ გვარის კათოლიკენი ვართ და არა სომეხნიო.

ასეთი გარემოება სომეხ-კათოლიკეთ შორის, ნელ-ნელა ჭეშმარიტ სახეს იღებდა და ამიტომ იგინი ქართველ კათოლიკებთან სადავო და საბაჭო საქმეებსაც თავს ანებებდნენ. ბევრს ალაგას ყოველისფერი დაშოშმანებას ეძლეოდა და ქართველ კათოლიკენიც თავიანთის ცხოვრებით ეძლეოდენ ალორძინებას. იმედი იყო, რომ ეს მათი ალორძინება ნელ-ნელა უფრო წინ წავიდოდა, მაგრამ არა, საქმე ასე არ აღმოჩნდა, გარემოებამ სხვა გვარ წარემართა

სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოებამ კვალი მიეცა თავისებურ ზრუნვას და ცდას ქართველ-კათოლიკობის წინააღმდეგ. ეს გარემოება გამოწვეულ ჰყო სომეხთ კათოლიკეთ სამღვდელოების უპირატესობამ, რითაც იგინი ქართველ კათოლიკებზე გაცილებით მაღლა სდგანან და თავიანთ გავლენით დიდ ბრძანებას და ზე-გავლენასაც ახდენენ ქართველ კათოლიკებზედ კვლანდებურათ ესენი აი რას სჩადიან ქართველ-კათოლიკეთ მრევლზედ:

1, ქართველ კათოლიკებს არწმუნებენ დიდის ფიცით, შეხვეწებით და წყევლით, რომ იგინი სომეხ-კათოლიკენი არიან.

2, რომ მათი სჯულის ენა არი სომხური და არა ქართული.

3, მათი შვილები უნდა ინათლებოდენ სომეხ კათოლიკეთა სჯულის წესით და არა ლათინის წესის რიგით.

4, ეკლესიებში ძველებურად დააწყეს ისევ წირვა ლოცვის შესრულება სომხურის წესით. ლათინის წესით წირვა და ლოცვები სრულდება მარტო, ბათუმს, ქუთაის, გორს, თბილის, ბაქოს და ზოგიც სხვა ადგილებს, სადაც ქართველ კათოლიკენი სცხოვრებენ. მაგალითები ამის: თურანს, მოსდოკს და ზოგს სხვა ადგილებს

5, ქართველ კათოლიკეთა შორის, ქართულ ენასაც დაუწყეს დევნა ისე, როგორც ეს იდევნებოდა 1715—წლიდამ დაწყებული 1870 წლამდის. ქართველ-კათოლიკებმა რომ აღმოკვეთონ ყოველისფერი ქართულის გვაროვნების, ესენი ხმარობენ კიდევ შემდეგ ბოროტებას.

1, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებს ქვანდათ თავის ცოტაოდენი ძირითადი თანხა, რითაც ქართველ-კათოლიკენი დიდათ ასარგებლებდენ. ამიტომ სომხის კათოლიკეთა სამღვდელოებამ იმეცადინეს, ეს ფული ეკლესიებს ჩამოართვეს მხოლოთ იმ მიზეზით, რომ ამ ფულიდამ გლეხებმა აღარ ისარგებლონო, რადგანაც იგინი ქართველებია

2, ზოგ ეკლესიებს ქვანდა სხვადასხვა ძველი საეკლესიო ნივთები, წიგნები, სიგელ-გუჯრები და ასეთი მასალები, ამ მასალებში ბევრი რამ ისეთი ცნობები მოიპოვებოდა, რაც ცხადათ ამტკიცებდა იმ გარემოებას, რომ იგინი, ე. ი. ქართველ-კათოლიკენი იყვნენ ქართველები შთამომავლობით.

3, არის იმის ცნობებიც, რომ ყველა იმ მასალებს, რომელნიც ქართველ კათოლიკეთა ვინაობას ცხადლივ ასახელებენ, ამ

## წითელი მდინარე.

(სურათი)

დაბურულ მთის გულის სიღრმიდგან გადმოდიოდა პატარა, მაგრამ სიცოცხლით სავსე წყლის ნაკადული.

შფებიდგან მთებზე, კლდიდან კლდეზე ცელქურათ ხტუნავდა და ჩხრიალით ქვევით მინდორ ველებში ეშმაკურათ მიიპაროდა.

გზაში მას, მისი მგზავრი პატარა წყლები, მოთამაშე ნაკადულები, უერთდებოდენ...

ჯერ ძმურათ, ერთი მეორეს გულ მკერდს უხსნიდენ, შემდეგ კი მაგრათ გულში იკრავდენ. ტუჩს უკოცნიდენ და მერე კი, მეგობრულათ შეერთებული, შორის გზა-ზღვისკენ ეშურებოდენ..

რწყავდენ ტყე ველს, მინდორ, ვენახებს, ასულდგმულებდენ მთელს ქვეყანას, მიდამო სოფლებს...

ანკარა წყლით სულს იბრუნებდა ტყის სილამაზე ცქვიტი ირემი.. სიკვდილის პირზე მიმდგარ ყანებს ანიჭებდა ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ადამიანი, ხომ მონა იყო! მისი ქვეშევრდომი! არ შეეძლო, უიმისოთ, ერთს დღეს სიცოცხლე!?

ამგვარათ სარგებლობდა მდინარით ხალხი, სარგებლობდენ მით ცხოველები, მთელი ქვეყანა.

ზამთრობით ეს მდინარე, ჩამოხმებოდა; კიდეებში გაშრებოდა, დამჭლევდებოდა.

პირის სახეს გაიწმენდდა,—ლამაზდებოდა და გულის სიღრმეს სარკესავით გადაგიშლიოდა.

—ადიდდებოდა, მრისხანებით შემოსილი, სულ იცვლებოდა:

ლამაზს სახეზე ბოროტება გადაეკვროდა, გულის კარები იხუროდა, იკეტებოდა.

და ბრაზმორეული საბრძოლველათ ხალხს ემუქროდა. იყო ბრძოლა ხანგრძლივ მუდმივი: მდინარე ხალხს და ხალხი მდინარეს ეჩხუბოდა, თანაც ეტრფოდა.

ასე იყო წინეთ და ახლაც. ასე, გვეგონა, იქნებოდა მდინარე მუდამ. ხან გულ-ღვრია, გესლიანი, ბრაზმორეული და ხან კი ლაღი, პირმცინარე წმინდა წყლიანი.

მაგრამ არა. შევცდით.., მოვსტყუვდით ერთ დილაზე, მდინარის სახე ჰმუნვამ შეიპყრო; მის კალაპოტში, საიდგანღაც, სისხლის ნაკადი შეჭრილიყო და წყლისათვის ფერი ეცვალა. არ იამა ეს მდინარეს, კიდეს ეჯახა და სწრაფლ შეიტყო ვინაობა უცხო გმირისა.

კორდიდგან კორდზე ჩამოჩქეფდა უცხო სტუმარი, მარდათ მოხტოდა, შხეფს ისვროდა გულ ნაღვლიანათ.

მას სიცოცხლე არ უჩანდა ნაკადულისა. არც ფერი ჰქონდა და არც სახე ჩვეულებრივი...

— შესდეგ! ვინა ხარ! სად მიდიხარ! სად გაჩენილი?! ვინ მოგცა ნება აქ მოსულხარ! ასე ფარულათ?!

— განა ვერ მხედავ? ნაკადული ვარ! შორის გზიდგან აქ წამოსული!.. ნუ თუ ვერ მატყობ, რაფერისა ვარ! ან ჩემი სახე, რას გეუბნება?!

— იმას, რომ ავაზაკი ხარ, ან ყაჩაღი სისხლში გასვრილი

ცემს, შორს ჩემგან! გასწი-გამშორდი!!

— არა! სცდები ძმობილო! მე, ყაჩაღი არ ვარ და არც უბრალო, წყლის ნაკადული!

მწარის ნაღვლით და მწუხარებით დასერილია ეს ჩემი გული.

თუ მათქმევინებ, ბევრს რამეს გეტყვი, გეტყვი, გადმოგცემ იმათ სიმწარეს...

იმათ, ვინც ოჯახს მოშორებია და ბრძოლის ველზე ითხრის სამარეს!

— როგორ? ბრძოლის ველზე შენ რა გინდოდა? მართლა იქ იყავ???!

— დიახ! სწორეთ იქ ვიყავ, იქ დავიბადე და დღესაც იქიდგან მოვემგზავრები.

რადგან ვერ მიცან, მსურს გითხრა, ვინც ვარ და რა მიზნით შენ გიერთდები.

მე, ნაკადული ვარ მებრძოლთა სისხლის, რომელიც მინდვრათ იღვრება ბლომათ

ჩემი სათავე გადმოჩუხჩუხებს დახოცილ გმირთა დაჭრილ მკერდიდგან.

კალაპოტი კი,—ბრძოლის ველია და მოვჩუხჩუხებ ასე, ამ გვარათ!..

აივსო ხრამი, გაძღა ტყე-ველი, აღარ ეტევა არსად გმირები.

და მათი სისხლი, უმანკოთ ღვრილი, აი, ხომ მხედავ, ნაკადულებათ მოვჩუხჩუხებთ, მოვეშურებით!

მოვდივართ შენთან, გვსურს შეერთება, გაზიარება გულის ტკივილის ..

—როგორ? ჩემთან გსურთ შეერთება, ერთად მგზავრობა?!

—არა არა, ჩემო მშობელო! ეგ მე არ ალმიძს და არც ხალხისთვის იქნება კარგი.

ისევ ასე სჯობს: მარტო იარე! კალაპოტი გაიკეთე—შრომა მიიღე და შემდეგ გზაში, კიდევ შეგვხვდება, შენივე მგზავრი, სისხლის ნაკადი.

ნაკადი ნაკადს შეუერთდით, ერთად იარეთ და ბოლოს ზღვაშიც, ერთად შედით, ერთ დიდ მდინარეთ!

ობლათ რჩენილი სისხლის ნაკადი ძლიერ შეწუხდა.

სხვა გზა იჩინა და მგზავრობას ისევ შეუდგა.

მოჩუხ-ჩუხებდა მარტოთ მარტო, ხმას არვინ სცემდა, ბუტ-ბუტ ჩუჩხ-ჩუხით თავის თავსვე იმედს აძლევდა.

აგერ, უცებ, თავზე წააწყდა მოჩუხჩუხე წყლის ნაკადულებს.

—გამარჯობა თვენი, უცხო მგზავრებო! ვინ ხართ? საიდან? ან სად მიდიხართ.

—მე! ნაკადული ვარ, ბრძოლის ველიდან, მებრძოლ გმირების სისხლით შემდგარი.

მინდა მდინარეთ ქცეული სისხლი ზღვას მივაბარო განსასვენებლათ

—მე კი, ცრემლი ვარ დამწვარ დედების, ქვრივ,-ობლის თვალთა მწარეთ დენილი.

მივდივარ, მივეჩქარები, დაჭრილ გმირების დასატირებლათ.

—შენ? შენ ვინღა ხარ, ჩვენო ძმობილო?!

—მეც, თქვენებრ ნაკადული ვარ! სისხლის ნაკადი! ბრძოლის ველიდან გამოქცეული.

ძლივნად მიმაქვს ზღვაში უმანკო სისხლი თრმა კუბოში ჩასასვენებლად.

ცეთ... ერთად ვიმგზავროთ... შევერთდეთ ძმურათ!.

—წინააღმდეგი არაფერი გვაქვს! კარგი იქნება ერთად ვიმგზავროთ!..

ვიაროთ ერთად, მედგრათ ვებრძოლოთ თუ რამ სამტროთ შეგვხვდება გზაში.

და გალესილი ცრემლებში სისხლი შეუბღალავათ ჩავზიდოთ ზღვაში.

სთქვეს და შეერთდენ. მდინარე შექმნეს უცხო, წითელი და ხტუნვა-ცეკვით გადაირბინეს ტყე და მინდორი, მიდამო, ველი..

ახლოს მივიდენ: ზღვას უკიჟინეს: ზვაო, მოვდივართ! ბინა მოგვეცი!

თან მოვასვენებთ მებრძოლთა სისხლსა შენს თბილ—გულ მკერდში ჩასასვენებლათ.

ტალღები იმ წამს აიჭოჩრენ, მთად აღიმართენ; ზღვის ფრთები სწრაფ შეგროვდენ, კიდეზე გაჩდენ!

მდინარე წითლათ შემოაპო ზღვის ღრმა გულ-მკერდი და ზედაპირზე გადაკრა წითლათ, ღელვარეთ!

ზღვამ ტალღები გუშაგებათ გარს შემოარტყა, ფერიები საგალობლათ მაღლა აფრინა.

ცა ვარსკვლავებით მოუქედა, მოუკაშკაშა და მუდმივ ლამპრათ ბადრი მთვარე თავს დააყენა.

ამის შემდეგ მდინარიდგან ბრწყინვალე სვეტი მუდამ ღამეს ცის სივრცეში აღიმართოდა.

და ანგელოზთა, ფერიების ტკბილი გალობა გულს ატკბობდა, ამხნევებდა, მუდამ ისმოდა:

მოისვენეთ! დამშვიდდით გმირთა სულებო! კურთხეულ იყოს ქვეყნიერათ თქვენი ხსენება.

და ზეციერათ, აქ წინაპრებთ შორის, ღირსი, ძიდება, დაფასება განსვენება“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწერებს სომეხ-კათოლიკეთ სულის მამები აქრობენ და სპობენ.

4, არის ისეთი ცნობები, რომ სხვადასხვა საყდრებზედ, ქართულს ძველ ხატებზედ და რამე საეკლესიო ნივთებზედაც ქართულ წარწერებს სპობენ.

5, არის ისეთი ცნობებიც, რაც ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი სულის მამები ქართველ კათოლიკებში დაძვრებიან და ხალხს უქადაგებენ, რომ იგინი სომეხ-კათოლიკენი არიან და არა ქართველნი.

ასეთის მეცადინეობისას ჩვენ აქ ბევრს რამეს მოვსთვლით, მაგრამ ამას ჩვენ არ ვსაჭიროებთ, ვინაიდგან ჩვენი მკითხველი აქ მოყვანილის ცნობებითაც დარწმუნდება საქმის სინამდვილეზედ, იმას კი ვიტყვით, რომ ნელ ნელა ქართველ კათოლიკეთ ზოგიერთ გამოჩენილ პირთა შრომა და ქადაგება უქმდება და ქართველობის ყოველისფერი ქართველ-კათოლიკობის ისპობა.

ამ მოსპობის მახვილს, ერთის მხრით მთავრობის კანონი სულ არ ეხება და არ ესაბამება. ამიტომ ითქმის, რომ პატივცემულის ქართველ მოღვაწის გაბო გოკიელის შრომას რუსულს ენაზედ, საქმარისათ დიდი მნიშვნელობა მიენიჭება, ვინაიდგან ესეთი ვრცელი შრომა, როგორც ხალხის წინაშე, ისევე მთავრობის, მარტივათ დაახასიათებენ იმ ისტორიულ ჭეშმარიტებას, რომ საქართველოში, ქართველებთან ერთად სცხოვრობდენ ქართველ კათოლიკებიც.

პატივცემული მოღვაწის წიგნი, რუსულს ენაზედ, ასეთ ძვირფას საუნჯეთ ჩაითვლება და ამიტომ სასურველია, რომ იგი მალე დაიბეჭდოს.

ზ. ჯ.

## პატარა წერილები.

XII

ჩვენი წინაპრების გულადობასა და გამბედაობას უნდა უმადლოდეთ, რომ ჩვენმა სამშობლომ, მეცხრამეტე საუკუნის კარებამდის მოიტანა თვით-არსებობა. არც ერთი ომი არ ყოფილა საქართველოს მიწა წყალზე, რომ მტერი ორჯერ და სამჯერ მრავალრიცხოვანი არ ყოფილიყოს ქართველ ლაშქარზე. აქ თუ ვაჟკაცობასთან გულადობა და გამბედაობა არ მუშაობდა ქართველებში, აბა ერთი მიბრძანეთ, რომელი ტეხნიკური განვითარება გვიწყობდა ქართველობას ხელს, რომ აურაცხელ მტრის ლაშქარს დავამარცხებდით ხოლმე? არა! ჩვენი ტეხნიკა ჩვენი გულადობა, ვაჟკაცობა და გამბედაობა იყო ხოლმე. ეს აუცილებელი ჭეშმარიტებაა.

ახლა, როდესაც გაქრა ჩვენში ეს გამბედაობა, კიდევაც დავკნინდით. დავსუსტდით და დავმონავდით. მე იმას არ ვიტყვით, რომ ჩვენში სრულიად აღარ იყვნენ გამბედავნი და გულადნი პირნი, მაგრამ მათი რიცხვი, რომ ძალზე შემცირებულია, ეს კი უეჭველია. განსაკუთრებით ასეთმა პირთა რიცხვმა სასულიერო წოდებაში იკლო. უყურებ ჩვენი სამღვდელოების წარმომადგენლებს საეპარქიო კრებაზე და გული ბოღმით გევსება. ოცსა და ორმოცდა ათ კაცში ძლივს დაინახავთ ოთხსა და ხუთს, რომ რაც სათქმელია, სთქვას. ზურგს უკან, ჩუმაჩუმა, ბობოქრობს, ასე უნდა იქნეს და ასეო და თქმის დროს ჩალას იდებს პირში და გაჩუმებულია. თავისი პირადობა და გულის ნადები ვერ გამოუმზეურებია. ხშირად ასეთ პირებს გულზე ოქროს მკერდის ჯვარი ჰკიდია და მედიდურად ყოყლოჩინობს. ავიწყდებათ ამ დალოცვილებს, რომ ოდესმე კუბოში სუდარის ამარა ჩავლენ და, რასაც აქ თაყვანსა სცემდნენ, აქვე დარჩებათ, ეს მწარე სიტყვები ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტაციამ მომაგონა. მოხსენება თუ ეგზარხოსმა ჩაიდვა ჯიბეში დეპუტაციის ქართველი წევრების ენა, გამბედაობა და ვაჟკაცობა სად იყო ამ დროს? ორიოდე სიტყვის თქმას თუ ვერ მოახერხებდნენ სიტყვიერად მაშ რაღასთვის მიდიოდენ სასახლეში? არა, შიხ ძრიელ ვყვირით და გარეთ ვერხვის ფოთლებსავით ვძიგძიგობთ და საპნის ბუშტივით ვქრებით.

ამ უკანასკნელ კრებაზე იმერეთის სამღვდელოების გამბედაობა საგულისხმიეროა და სულითა და გულით ვუსურვებ, რომ მის დეპუტაციას, რომელიც ამ დღეებში უნდა წარუდგეს მეფის ნაცვალს თავის მარწმუნებლების თხოვნის გადასაცემად ნდობა გაემართლებინოს და ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტაციის ბედი თავიდან აეცდინოს.

მ. ბუაჩიძე.

## პროვინციის ცხოვრება.

**სამეგრელო.** დღეს ჩვენი ქვეყანა ათას გვარ გასაჭირს განიცდის, მაგრამ რაც ახლა სამეგრელოს უბედურება მოევლინა, ასეთი ჯერ არსად გაგონილა. მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, თუ რა ჯოჯოხეთი ტრიალებს დღეს დასავლეთ საქართველოს ამ ნაწილში. ავაზაკები ანადგურებენ აქაურობას. წვავენ ნიშანში ამოღებულ პირთა ქონებას, ძარცვენ გამვლელთ და სიცოცხლეს უსპობენ მრუდსქდა მართალს. ხალხი დამფრთხალია და ვინ საით უშველოს თავს არ იცის. სანამ გაგრძელდება ასე." მცხოვრები ეკითხება თავის თავს და პასუხი ვერ უპოვია. ნუ თუ დრო აღარ არის საერთო ძალით ვეცადოთ და საზიზღრობას ბოლო მოუღოთ.

— **ბათუმის ოლქი.** ჩვენ, ქართველ მაჰმადიანები, განსაკუთრებულ პირობებში ვიმყოფებით ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალმა ჩვენ მოგვწყვიტა ეროვნულ მაჯის-ცემას, მშობლიურ სულსა და გულს, გაგვანადგურა როგორც გონებრივად, აგრეთვე მდგომარეობითაც. მაგრამ ბედმა სრულიად არ გვიმტყუნა და დღეს უკვე ჩვენ ძვირფას ძმებს, ქრისტიან ქართველების, შემწეობით უკვე ვიღვიძებთ და გათვითცნობიერების გზას ვადგებით. მათ სრულიად მოჰფინეს ჩვენში გულშემატკივრები, რომელნიც თავდადებულად მუშაობენ და ქართველ მაჰმადიანთა წყვდიადით მოცულ ცხოვრებას შექმვენ ვარსკვლავებად ევლინებიან.

— **სოფ. ფოცხო.** (სენაკის მაზრა) დიდ გაჭირვებას განვიცდით ყანადთა თარეშის გამო.

— **სოფ. ქორეთი.** (შორაპ. მაზრა) ბევრჯერ ყოფილა გაზეთის ფურცლებზე აწერილი აქაურ საზოგადოების ორ კლასიანი სკოლის შესახებ ცნობები, მაგრამ საქმეს ჯერ კიდევ ვერ გამოუჩნდა გულშემატკივარი. ფული 1911 წელს შეაგროვეს, მაგრამ დღემდის არავინ ფიქრობს სკოლის შენობაზე

— **ს. ვანი.** (ქუთაისის მაზრა) აქ დიდი უგზოობაა და მიმოსვლის სიძნელეა. ვანი სამტრედიიდან 18 ვერსითაა დაშორებული, მიმოსვლა წარმოებს დილიჟნებით. გზების მოუწყობლობით აქეთ მგზავრობა ტანჯვას წარმოადგენს. ამავე დაბიდან სწარმოებს მთელ სამხრის მხარეში კორესპონდენციების გზავნა. წერილები ყოველ დღე მოაქვთ დილიჟნებს მიიტანებენ დანიშნულ დუქანში და იქ დაყრიან წერილები დიდი ხნობით ყრია იქ უპატრონოდ.

## რუსეთი.

სამარის საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე იმ 15 სოციალ დემოკრატებისა, რომელთაც სათათბიროდან დათხოვნილ 5 ს. დ. დეპუტატთა შესახებ პროკლამაცია შეადგინეს და გაავრცელეს. 12 მათთაგანს ციხე მიუსაჯეს, 3 გაამართლეს.

— უწმინდესი სინოდის ობერ პროკურორს შეუდგენია და სინოდისათვის გადაუცია მოხსენება სასულიერო პირთა ჯამაგირების გადიდების შესახებ. სინოდმა მიიღო მოხსენება და გადასცა განსაკუთრებულ კომისიას, რომლის თავმჯდომარედაც მიტროპოლიტი პიტირიმია.

— მოსკოვში გერმანელ ქვეშევრდომთა კუთვნილი რამდენიმე მაღაზია უკვე გაუციათ გასაყიდათ.

— გაზეთი „კიევსკაია მისლ“ 1000 მანეთით დაუჯარიმებიათ.

— შტიურმერი საგარეო საქმეთა უწყებაში დაუნიშნავთ.

## უცხოეთი.

სენატორ ანრი ბერანჟეს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში წინადადება შეუტანია შემოღებულ იქნეს საყოველთაო შრომის ბეგარის მისი პროექტით ბეგარის მოსახდელად გაწვეულნი იქნებიან ყველანი 17 60 წ.

— ინგლისში სპირტის გამომხდელი და ღვინის დამყენებელი ქარხნები ყველა მთავრობას შეუსყიდია. აზრადა აქვთ ღვინო და სპირტი ნაკლებად გამოუშვან ბაზარზე და ამნაირად ლოთობა თანდათან მოსპონ.

— ქ. ჩითუს ახლო დამტვრეულ გემ „ხანკაკუმარზე“ 300 კაცი დაღუპულა.

— უკვე დაწყებულა პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომები. სამეფო მარშლად და საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა თ დი ლიუბომირსკი.

— ვილნოში და კოვნოში უკვე შეუდგენიათ პოლონეთის ჯარი უკვე გაუთავისუფლებიათ. სამხედრო ტყვე პოლონელები, რომელნიც ჩაწერილა კიდეც პოლონეთის ეროვნულ ჯარში.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

გაზეთ „სამშობლოს“ № 444-ში ჩემს შესახებ მოთავსებული იყო წერილი „მწყემსის“ ფსევდონიმით, რომელშიაც კორესპონდენტი შემდეგს ბრალსა მდებს: 1, ვითომც მე რევოლვერი მესროლოს ეკლესიის გალავანში ივანე რომანოზის ძე ბურჯანაძისათვის, საზოგადოდ, ტყვიით ვუმასპინძლებოდე მრევლს. 2, ვითომც მე მქონდეს საჩივარი და უთანხმოება მამასთან და ძმებთან. 3, ვითომც მქონდეს საჩივარი მასწავლებლებთან და საზოგადოდ მრევლთან, რომელთაც ვითომც ვძულდვარ და ჩემის სიძულვილისა გამო ეკლესიაზე არ დაიარებოდენ.

ყველა ბრალდებანი სიცრუე და ცილის წამება არის, კორესპონდენტისაგან მოჭორილი. 1, ივანე რომანოზის ძე ბურჯანაძე, შემდეგ ჩემგან უარის თქმისა ჩემის ქალიშვილის მითხოვებაზე შექადნებოდა სიკვდილს და 27 აგვისტოს, შაბათს—საქმის დღეს, როდესაც, რაკი იცოდა, რომ ხალხი არ იქნებოდა ეკლესიაზე და უფრო ადვილად შეასრულებდა თავის ბოროტგანზრახვას, ნაცისკრებს მოპარვით მომიხტა ეკლესიაზე და ცხვირ-პირში შემომკრა და სისხლი მადინა. მე გავიქეცი მთავარ დიაკვნისაკენ, რომელსაც ვუძახდი მოსაშველებლად, ბურჯანაძე რევოლვერით მომყვა, ეკლესიის კარებთან და კიდეც მესროლა რევოლვერი, მე ორივე ხელები ვუტაცე და მით ტყვია ამცილდა, ამ დროს მომეშველენ მთავარ-დიაკონი, სტაროსტა, ცისკარზე დამსწრე ივანე ბაბუაძე და ლევარსამ ეგუტიძე, და მე ეკლესიაში შევაფარე თავი და ივანე ბურჯანაძე, ჩემის თხოვნით, მამასახლისის თანაშემწემ შემთხვევით ეკლესიაზე მოსულმა, წაიყვანა სოფლის კანცელარიაში, სადაც მამასახლისმა ოქმი შეუდგინა ბურჯანაძეს და საქმე წარმოებაშია.

2, მამასთან და ძმებთან საჩივარი და უთანხმოება არა მაქვს. თუმცა მამა-პაპის დამთენილი ადგილმამულისაგან მე არავითარი ნაწილი არ მიმიღია და არც მისი შემოსავლისაგან ვსარგებლობ, მაგრამ ჩვენი დაი მუდამ ჩემთან ცხოვრობს და მამაც ხუთი წელიწადი ჩემს საკუთარ ხარჯზე ჩემსა ცხოვრობს სოფ. ობჩაში, თუმცა სამშობლო სოფელ სვირში სახლი და ადგილმამული ჩემს ძმებთან აქვს, რომლითაც საკუთრად სარგებლობენ.

3, ჩვიდმეტი წელიწადია, რაც ობჩის ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებელში საღვთო სჯულს ვასწავლიდი და ამ დროს განმავლობაში აქ მსახურობდნენ ზედამხედველათ გ. ბ. კორნელი პორფილეს ძე ჯუღელი და აქსენტი ბეგლარის ძე ლორთქიფანიძე და მასწავლებელნი ჟურაძე, დექანაძე, მიხეილ შვილდაძე ქ ნნი ნინა ცაგარელისა, მარიამ ჩხეიძისა და სხვანი, სიამოვნებით მოვიგონებ მათთან სამსახურს და არც ერთთან უსიამოვნება და საჩივარი არ მქონებია და კიდეც კარგი მეგობრული განწყობილება გვქონდა. ვსთხოვ ამ პირებს, გამოსთქვან რომელიმე გაზეთში ჩემი მათთან დამოკიდებულება, ყოფა-ქცევა და ხასიათი. აქ არ შემიძლია არ მოვიხსენიო, რომ გამონაკლისს შეადგენს ეხლანდელი ზედამხედველი გ. ჩხიკვაძე, რომელსაც ყველა მასწავლებლებთან აქვს უთანხმოება და საჩივარი;

4, მრევლთან საჩივარი არა მაქვს და სიმძულვარეც არ დამიმსახურებია, რასაც მოწმობს ჩემი ამ სამრევლოში ხანგრძლივი 27 წლის მღვდლათ სასარგებლო სამსახური. ამ დროს განმავლობაში ჩემი თავმჯდომარეობით აშენდა ქვითკირის დიდებული ტაძარი, რომლის აშენება დაჯდა 17,000 მანეთი და რომლის შენების დროს ორი წლის განმავლობაში მრევლისთვის დრამის ფული კომლზე 4 მანეთი არ გადამიხდევინებია. ხსენებული ეკლესიის გალავანში გავხსენი და დავაარსე სამრევლო სკოლა, რომლის გამგეთ და საღვთო სჯულის მასწავლებლათ ვიმყოფები. სამრევლოში ჩამოვლით და მრევლისაგან სურვილისამებრ შეწირულებით ხუთასი მანეთიანი ზარი ვიყიდე. ნუ თუ ეკლესიის ერთგული და სასარგებლო სამსახურისათვის, სამრევლოს სწავლა განათლების შრომისთვის და მატერიალურად დახმარებისთვის შემიძულებდა მრევლი!

რომ ეს ასე იყოს, რომ მრევლს ვძულდე და არ უყვარდე მოძღვრულის სიყვარულით, მე თვითონ არ გავჩერდებოდი და არ გავჩერდები მისთანა სამრევლოში.*)

ობჩის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი ამბაკო ლიბრაძე.

*) მღვდელი ლიბრაძე გთხოვს ვაცნობოთ მას კორესპონდენტის ვინაობა. ამას ჩვენ ვერ ვიზამთ. იმედია თვით კორესპონდენტი არ დამალავს თავს და თუ აუცილებელი შეიქნა, პირდაპირ გამოვა საზოგადოების წინაშე.

რედ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხ. „**სამშობლო**“




### რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |

**ექიმი** ი. ჩაჩიბაია ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. [illegible] ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ლებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ს.-მ. ბ. მიწის მზომელი** ვ. ს. ასათიანი

ადგენს მამულების პლანებს, აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ-მამულთა შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „ჩვ. მ.“ და „სამშ.“ რედაქცია; ან პროვიზ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ. ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 6—9 თ.

**ექიმი** ა. დ. **მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულუკიძის ქუჩა)

**იყიდება** **სახლი და მამული** 2 სართულიანი ქვის შენობა ქვის საძირკველით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ. № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ ... [illegible] ლისში მიხეილის ქ. № 143. ექიმ გ. [illegible]

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საეჭვო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იაფ პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ. ტელეფონი № 183.

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი მულინი**, ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

**ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული**

**ბებია ს. ს. ნემსაძისა** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, ბებეშვილის სახლები, ფოსტის მახლობლათ.

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ვისაც თვალები ტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული**, მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გაღმა გოშპიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში **მიხეილ კაშიას**, რომელმაც-მე მომირჩინა ბოვში უპატრონოთ.

**ვარლამ ხუჯაძე.**

**საჭირო ბინა** 4—6 ოთახით და სამზარეულოთი დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრანომისთვის იღეიდ რთი: აზნაურის შესახვევი მთავრობის და ერობის აგრანომის კანცელარია.

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვიდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი № 17.

# ავი სენი.

ყველა მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)


ქუთაისის ამხანაგობა „სამშობლოს“ სტამბა